ტრანსგენერაციული ტრავმა თანამედროვე ქართულ რომანში (ივა ფეზუაშვილის *მასკარაფონე* და კოკა ქამუშაძის *ბალანდა*)

სტუდენტი: მარიამი სამადაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ცდას, ორ რომანში — კოკა ქამუშაძის *ბალანდა* და ივა ფეზუაშვილის *მასკარაფონე* დააკვირდეს ტრავმის ნიშნებს და მიაგნოს იმ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებითაც განპირობებულია ამ ტრავმების ლიტერატურული რეპრეზენტაცია 2020-იანი წლების დასაწყისში. კვლევის მეთოდოლოგიად შეირჩა ტრავმის თეორიაში დამკვიდრებული მიდგომები.

რომანების შედარების საფუძველზე გამოიკვეთა პარალელები სიუჟეტურ და თემატურ დონეზე, რომელიც განპირობებულია ავტორთა მსგავსი გამოცდილებითა და კრიმინალური ავტორიტეტის როგორც წამყვანი მატრავმირებელი ელემენტის გარშემო აგებული თხრობით. თავი იჩინა ასევე განსხვავებებმა ნაწარმოების ფორმის, თხრობის სტილის და ტექსტის სტრუქტურის მხრივ. ისინი აიხსნება ავტორთა განსხვავებული ესთეტიკური მრწამსითა და მხატვრული განზრახვით.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ორივე რომანში თავს იჩენს კოლექტიური ტრავმები, რომლებიც განპირობებულია საქართველოში XX საუკუნეში მომხდარი გარდამტეხი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებითა და მათი მემკვიდრეობით და რომელიც აისახება XXI საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა თაობის მწერალთა მიერ შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებში. კვლევისას ასევე გამოიკვეთა ინდივიდუალური ტრავმები, რომელიც ავტორების პირად ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობა და მხატვრულად მათთვის დამახასიათებელი უნიკალური სტილითაა გადამუშავებული.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტრავმა, ტრავმა ლიტერატურაში, ტრანსგენერაციული ტრავმა, კოლექტიური ტრავმა, ინდივიდუალური ტრავმა, საბჭოთა კავშირი, პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ბალანდა, მასკარაფონე.

Abstract

The thesis attempts to observe the signs of trauma in two Georgian novels: *Balla(n)d* by Koka Kamushadze and *Mascaraphoné* by Iva Pezuashvili; and to identify the socio-cultural factors which define the literary representation of these traumas at the beginning of 2020s. The chosen methodology is based on the approaches established in the theories of trauma.

As a result of a comparative analysis of the two novels, we identified similarities in plotlines and thematic focus, which is a result of the shared experiences of authors and the narrative that revolves around the criminal authority as a main traumatic element. On the other hand, the differences in the form, narrative style, and structure are obvious - the two authors have different aesthetic views and artistic intentions.

The research concluded that both novels showcase collective traumas that were a direct result of the pivotal socio-political events of 20th-century Georgia, and the heritage of these events is reflected in the titles of 21st-century Georgian literature by the authors of different generations. The research also revealed individual traumas based on the personal knowledge and experience of the authors, which are fictionalized in their own unique narrative style.

Keywords: trauma, a trauma in literature, transgenerational trauma, collective trauma, individual trauma, Soviet Union, post-Soviet country, Balland, Mascaraphoné.